



თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თელავი

N 17
27/02/2019

17-09-4-201902271747




თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის
შვებულებისა და მივლინების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 36-ე მუხლის მე-3 პუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 38-ე მუხლის და საკრებულოს რეგლამენტის მე-15 მუხლის მე-8 პუნქტის და მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

1. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, არჩილ თხლაშიძეს მიეცეს შვებულება - 2019 წლის 4 მარტიდან - 8 მარტის ჩათვლით.
2. თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, არჩილ თხლაშიძე მივლინებულ იქნეს ბელარუსიის რესპუბლიკის ქალაქ გლუბოკოეში, 2019 წლის 21 მარტიდან - 29 მარტის ჩათვლით.
3. საკრებულოს თავმჯდომარის შვებულებაში და მივლინებაში ყოფნის პერიოდში, საკრებულოს თავმჯდომარის უფლებამოსილების განხორციელება დაევალოს თავმჯდომარის მოადგილეს - გიგა ორკოდაშვილს.
4. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

5. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, თელავის რაიონულ სასამართლოში, მისი ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში (მის: ქ. თელავი, დავით აღმაშენებლის N41).

არჩილ თხლაშიძე



საკრებულოს თავმჯდომარე
თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

